საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

II ანგარიში

ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID) მხარდაჭერით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა“ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

2010 წლის 11 მაისი

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

მოკლე აღწერილობა

ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენების მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში 2010 წლის 15 მარტიდან 5 მაისამდე პერიოდს მოიცავს და ყურადღებას ადმინისტრაციული რესურსების ოთხ ძირითად სახეობაზე ამახვილებს. ესენია: ხისტი, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები. როგორც ანალიზიდან ჩანს, წინა – 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო – არჩევნებთან შედარებით, 30 მაისის თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდში *დღევანდელი მდგომარეობით* ნაკლები დარღვევაა, თუმცა საერთო სურათი დადებითი შეფასების შესაძლებლობას მაინც არ იძლევა.

ყველაზე შემაშფოთებელი **ამომრჩევლებსა და ოპოზიციის აქტივისტებზე ზეწოლის ფაქტებია**. ასეთი შემთხვევები, კერძოდ, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების იძულება არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვან, საჯარო მოხელეების დავალდებულება მმართველი პარტიის საარჩევნო ღონისძიებებს დაესწრონ, ოპოზიციური პარტიებისთვის საარჩევნო ღონისძიებების ორგანიზებაში ხელის შეშლა და სხვა მსგავსი ფაქტები უფრო ხშირად რეგიონებში ხდება.

3 მაისს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, სამხედრო პოლიციის უფროსი, კოდორის პოლიციის მაღალჩინოსანი, მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი, მესტიის გამგებელი, სამხარეო საფინანსო პოლიციის უფროსი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, რომელთაც თან შეიარაღებულ ადამიანთა დაახლოებით 50-კაციანი ჯგუფი ახლდათ, 22:00 სთ-დან ღამის 3:00 საათამდე გამგეობაში იბარებდნენ პარტია „თავისუფლების“ მაჟორიტარობისა და პარტიული სიის კანდიდატებს და არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმას აიძულებდნენ. ოთხმა პირმა იმავე ღამეს დაწერა განცხადება კანდიდატურის მოხსნის შესახებ. ყვარლის რაიონის გამგებლისა და პოლიციის უფროსის მხრიდან ზეწოლის შედეგად კანდიდატურები მოხსნეს ახალსოფლისა და მთისძირის საკრებულოს წევრობის „ეროვნული საბჭოს“ კანდიდატებმაც. პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ახმეტის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, შოთა ქავთარაშვილს პოლიტიკურ საქმიანობაზე უარის თქმა და „ნოღაიდელის პარტიის“ დატოვება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ და სოფელ დუისის რწმუნებულმა მოსთხოვეს. ისინი ქავთარაშვილთან სახლში მივიდნენ და 30 წუთის განმავლობაში ემუქრებოდნენ, რის შემდეგაც ქავთარაშვილს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანში და ყვარლის რაიონის სოფელ ალვანში საარჩევნო ხმის უფლების მქონე მეთორმეტეკლასელები გააფრთხილეს, რომ თუ მხარს მმართველ პარტიას არ დაუჭერდნენ, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებამდე გაიწვევდნენ ჯარში.

ოზურგეთში 24 მარტს, „ეროვნული საბჭოს" ლიდერების ჩასვლის დღეს მიკროავტობუსებსა და ავტობუსებს სოფლებიდან და სოფლების მიმართულებით გადაადგილება აუკრძალეს.

ფინანსურ რესურსებთან მიმართებაში აღსანიშნავია როგორც თბილისში, ისე რაიონულ საკრებულოებსა და გამგეობებში დასაქმებულ პირთა რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ზრდა, გარკვეული (არასეზონური) ღონისძიებების მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში დაფინანსება და ადგილობრივი მედიასაშუალებებისთვის მუნიციპალური ბიუჯეტებიდან გამოყოფილი სუბსიდიების ზრდა.

დასაქმებულთა რიცხოვნობა და შრომის ანაზღაურება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მიერ შესწავლილი 43 მუნიციპალიტეტიდან 13-ში გაიზარდა. დამატებით, 9 მუნიციპალიტეტში მხოლოდ სახელფასო ფონდი გაიზარდა, დასაქმებულთა რაოდენობა არ მომატებულა. სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მათ შორის სპორტული, კულტურული, საგანმანათლებლო, სოციალური და ა.შ., მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში გორში, რუსთავში, ხობში, სიღნაღში, გურჯაანში, თელავში, ლაგოდეხში და ახმეტაში ფინანსდება. მედიასაშუალებების სუბსიდირება კი ონში, აბაშაში, მარტვილში, თელავში, გურჯაანში, სიღნაღში, ყვარელში და ახმეტაში გაიზარდა.

მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების გამოყენების მხრივ დარღვევები თბილისში, თელავში, გურჯაანში, საგარეჯოში, ბათუმში და რამდენიმე სხვა რაიონში გამოვლინდა.

თელავში სოფელ ყარაჯალას გამგებელმა დაახლოებით 50-60 ადამიანს ჰუმანიტარული დახმარების დარიგების მოტივით პირადობის დამადასტურებელი მოწმობები ჩამოართვა. ბათუმში საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეორე განყოფილებამ სხვადასხვა საჯარო უწყებებისა და კერძო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაუგზავნა წერილობითი მოთხოვნა მათი თანამშრომლების პირადი ნომრებისა და სხვა პერსონალური მონაცემების შეგროვების თაობაზე. ოზურგეთის რაიონში მცხოვრებ პატიმრების ოჯახების წევრებს ადგილობრივი ხელისუფლების წევრებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარამჭერების მობილიზება დაავალეს და სანაცვლოდ პატიმრების გათავისუფლებას დაჰპირდნენ.

თბილისში განსაკუთრებით ხშირია თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული, ე.წ. თბილისის რებრენდინგის ფარგლებში შექმნილი ლოგოს – „მე მიყვარს თბილისი“ – მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიაში გამოყენების შემთხვევები. 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტში წერია, რომ სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ნათელი განსხვავება უნდა არსებობდეს.

თბილისის მერიის მიერ აპრილში განხორციელებული აქცია „კინომანია +5“ კი, რისთვისაც მერია საკუთარ ვებგვერდსა და სხვადასხვა ბეჭდვით საშუალებებს იყენებს, შეფარული პოლიტიკურ რეკლამაა. მმართველი პარტიის არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერია „5“. პარტიის სააგიტაციო მასალაში 5 წითლად არის შეფერილი. წითლად არის შეფერილი „კინომანია +5“-ის სარეკლამო მასალებში გამოყენებული 5-იც. გარდა ამისა, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, „საარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია სახელმწიფო/ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ისეთი ბეჭდვითი მასალის დამზადება, რომელშიც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი“.

შესავალი

ეუთთ[1]-ის 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტი არჩევნებსა და დემოკრატიაზე:

<u>უნდა არსებობდეს „ნათელი განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. კერძოდ, არ უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფოს აღრევა“ (მუხლი 5.4), ასევე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს „პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები აუცილებელი სამართლებრივი გარანტიებით, რათა მისცეს მათ ერთმანეთთან შეჯიბრების საშუალება კანონისა და ხელისუფლების წინაშე თანაბარი პირობების საფუძველზე“ (მუხლი 7.6).</u>

მრავალი საერთაშორისო აქტი, მათ შორის, იმ ორგანიზაციების მიერ მიღებული დოკუმენტები, რომელთა წევრიც საქართველოა, კრძალავს ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენებას. საქართველოს კანონმდებლობა ადმინისტრაციული რესურსების ამ მიზნით გამოყენებას მხოლოდ ნაწილობრივ ზღუდავს. ამასთანავე, ამ საკითხთან დაკავშირებული დებულებების დიდი ნაწილი იმდენად ბუნდოვანია, რომ დარღვევის ფაქტის დადგენა ძალიან რთულია, ხშირად კი – უბრალოდ შეუძლებელი.

[1] ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თათბირი – ეუთთ (შემდგომში, ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაცია – ეუთო)

2010 წლის 15 აპრილს აშშ-ში ოფიციალური ვიზიტის დროს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ დასმულ კითხვაზე საქართველოს პრეზიდენტმა უპასუხა: „... ჩვენ ვაპირებთ ყველა სახის რესურსის გამოყენებას [იმ მიზნით], რომ გავაუმჯობესოთ ხალხის ცხოვრება, მიუხედავად იმისა, იტყვიან თუ არა, რომ ჩვენ არამიზნობრივად ვიყენებთ მათ [ადმინისტრაციულ რესურსებს]. დიახ, ჩვენ არამიზნობრივად ვიყენებთ, მაგრამ მაინც ვაკეთებთ ამას, და მე ვფიქრობ, რომ ეს კანონიერია“.[2]

ამავე წლის 16 აპრილს საქართველოში ევროთა სადამკვირვებლო მისიის ელჩმა ოდრი გლოვერმა განაცხადა: „არჩევნებს შევაფასებთ კოპენჰაგენის ვალდებულებების[3] მიხედვით, რომელთაც ევროთა ყველა წევრი ქვეყანა ეთანხმება“.[4] აღსანიშნავია, რომ 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტი ადმინისტრაციული რესურსების საკითხს უფრო ფართოდ არეგულირებს, ვიდრე საქართველოს კანონმდებლობა. ევროთა მისიის ელჩმა ასევე დააკონკრეტა, რომ მისია შეაფასებს „მედიის როლს საარჩევნო პროცესის გაშუქებაში, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას და იმას, თუ რამდენად არის შექმნილი გარემო იმისთვის, რომ კანდიდატებმა თანაბარ პირობებში შესძლონ კამპანიის წარმოება“. ელჩმა გამოთქვა იმედი, რომ პროგრესი იქნებოდა მიღწეული მისიის წინა რეკომენდაციების შესრულების მიმართულებითაც, მათ შორის, „პარტიასა და ხელისუფლებას შორის მკვეთრი ზღვრის გავლების საკითხში“.[5]

მიმდინარე წლის 8 აპრილს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა (ცესკო) და ხუთ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის გაფორმდა მემორანდუმი „2010 წლის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ[6]“. მემორანდუმში საქართველოს საარჩევნო კოდექსის ის დებულებებია განმარტებული, რომლებიც ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენებას არეგულირებს. ამ ინიციატივას რამდენიმე დღეში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურა და აღნიშნა: „თუ სახელმწიფო მოხელეები საარჩევნო პროცესებში ჩარევას გაბედავენ, ისინი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან“.[7] ამის შემდეგ მემორანდუმისადმი მხარდაჭერა

---

[2] http://www.civil.ge/eng/article.php?id=22202

[3] http://aceproject.org/main/english/ei/eix_c070.htm

[4] http://rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=36518&pg=1&im=main&ct=0&wth=

[5] http://www.messenger.com.ge/issues/2087_april_19_2010/2087_ernest.html

[6] http://cec.gov.ge/old/?que=geo/press-center/press-releases&info=5815

[7] http://ghn.ge/news-12220.html

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოხატა“.[8] მმართველი პარტიის წარმომადგენელმა პავლე კუბლაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ პარტია მზად იყო, მემორანდუმში დაფიქსირებული მოთხოვნების მონიტორინგთან დაკავშირებით აქტიურად ეთანამშრომლა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ცესკოსთან. 8 მაისს კი მმართველმა პარტიამ, ცამეტ პოლიტიკურ პარტიასთან ერთად, ოფიციალურად მოაწერა ხელი აღნიშნულ მემორანდუმს.

2010 წლის 29 მარტს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოაქვეყნა პირველი ანგარიში „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის“. მასში აქცენტი სახელმწიფო და მუნიციპალურ ფინანსურ რესურსებზე გაკეთდა. ამჯერად გთავაზობთ მეორე ანგარიშს, რომელშიც ყურადღება, ფინანსურ რესურსებთან ერთად, ე. წ. სამართლებრივ (მარეგულირებელ), ინსტიტუციურ და ხისტ რესურსებზეა გამახვილებული. დასაწყისში კი ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო გარემოს მიმოვიხილავთ.

საკანონმდებლო გარემო

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შეფასებისას ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად როგორც ქართული, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები და სადამკვირვებლო მისიები წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივ გამოყენებას ასახელებდნენ.

სადამკვირვებლო ორგანიზაციები, მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, პარლამენტს კონკრეტულ რეკომენდაციებსაც სთავაზობდნენ იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლებოდა ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების უფრო ეფექტიანად დარეგულირება. ამ რეკომენდაციებს შორის იყო:

(ა) საჯარო სამსახურში იმ პირთა წრის შეზღუდვა, რომლებზედაც წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევასთან დაკავშირებული შეზღუდვები არ ვრცელდებოდა; ამ უფლების მხოლოდ არჩეული საჯარო მოსამსახურეებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის დატოვება;

(ბ) საარჩევნო კანონმდებლობაში იმის განმარტება, რომ საჯარო მოსამსახურეებს ეკრძალებოდათ არა მხოლოდ საარჩევნო აგიტაციის გაწევა (ამომრჩეველთა მოწოდება

[8] http://ghn.ge/news-12881.html

საარჩევნო სუბიექტების მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ), არამედ, ზოგადად, წინასაარჩევნო კამპანიაში (არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატების მიერ გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა) მონაწილეობა;

(გ) საჯარო უწყებების მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენების (როგორც არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატების, ისე საჯარო მოსამსახურეების მიერ) აკრძალვა.

2009 წლის დეკემბერში[9] პარლამენტმა ამ და სხვა რეკომენდაციების ნაწილი გაიზიარა და საქართველოს საარჩევნო კოდექსში რამდენიმე პოზიტიური ცვლილება შეიტანა, თუმცა რამდენიმე ბუნდოვანი დებულება უცვლელად დატოვა. მაგალითად, საჯარო მოსამსახურეებს კვლავ შეუძლიათ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი უშუალოდ სამსახურებრივ ფუნქციებს ასრულებენ[10]. „უშუალოს“ განმარტება კოდექსში მოცემული არ არის; ამიტომ ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის კამათის საგანი (აღნიშნული სიტყვის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების გამო).

დადებით ცვლილებებს შორის უნდა აღინიშნოს: ა) საარჩევნო კამპანიის პერიოდში საჯარო ფინანსებით დაბეჭდილ მასალაში საარჩევნო სუბიექტისა და მისი სააგიტაციო მასალის აღბეჭდვის აკრძალვა[11] და ბ) არჩევნების დანიშვნის დღიდან მათი შედეგების შეჯამებამდე ბიუჯეტში მანამდე გაუთვალისწინებელი პროექტებისა და საბიუჯეტო ცვლილებების (კერძოდ, საბიუჯეტო პროგრამებისა და გეგმიური ტრანსფერების ზრდა, ასევე, არაგეგმიური ტრანსფერების ინიცირება) განხორციელება[12].

გასული წლის დეკემბერში განხორციელებულ ცვლილებებში, პოზიტიურის გარდა, რამდენიმე უკან გადადგმული ნაბიჯიც იყო. კერძოდ, გაუქმდა ნორმა, რომლის მიხედვითაც, საკრებულოს წევრობის კანდიდატად დასახელება პირისთვის საქართველოს პარლამენტის

---

[9] საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ეს ცვლილებები 2009 წლის 28 დეკემბერს იქნა შეტანილი.

[10] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 73-ე მუხლის მე-5 მუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

[11] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 76-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[12] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 73-ე მუხლის 10^1 პუნქტი.

წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას იწვევდა[13]. მართალია, ამ არჩევნებისთვის ასეთ ტენდენციას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ შესაძლებელია, მომავალში ამ დებულებამ არჩევნებზე უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, პარტიებმა თავდაპირველად სიებში უფრო ცნობილი დეპუტატები ჩასვან და მათი „გამოყენებით" საკრებულოში ადგილები მოიპოვონ, შემდეგ კი ამ დეპუტატებმა პარლამენტში დარჩენა არჩიონ და საკრებულოში პოსტები სხვა, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილმა ან სრულიად უცნობმა პირებმა (სიაში მომდევნო ნომრებით გასულმა ადამიანებმა) დაიკავონ.

მანამდე არსებული დებულება, რომლის თანახმად, საკრებულოს წევრობის კანდიდატად დასახელება პირისთვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას იწვევდა, კოდექსში 2006 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ იქნა შეტანილი[14]. ეს ინიციატივა მმართველ პარტიაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება პარლამენტის ოპოზიციონერმა წევრმა კობა დავითაშვილმა გადაწყვიტა. დავითაშვილმა დეპუტატის მანდატი მოიხსნა და საკრებულოში იყარა კენჭი.

<u>სამართლებრივი (საკანონმდებლო და მარეგულირებელი) რესურსები</u>

საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, ასევე სხვა მარეგულირებელი სტრუქტურების მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მმართველი პარტიის საარჩევნო ინტერესებს ემსახურება (მის გამარჯვებას უწყობს ხელს). „მარეგულირებელი რესურსების გამოყენება მოიცავს არსებული რეგულაციების მიკერძოებულად აღსრულებას მმართველი პარტიისა და მისი კანდიდატების სასარგებლოდ. მაგალითები მოიცავს როგორც საარჩევნო კომისიის მიერ ოპოზიციური კანდიდატის „რეგისტრაციიდან მოხსნას", ისე საგადასახადო ადმინისტრაციის მხრიდან ოპოზიციურ პარტიაზე უცაბედი საგადასახადო შემოწმების განხორციელებას წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში."[15]

---

[13] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 111-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[14] საკრებულოს წევრობის კანდიდატად დასახელების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება უწყდებოდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის თავდაპირველი (2001 წლის 2 აგვისტოს) რედაქციით, მაგრამ ეს შეზღუდვა თითქმის ორ თვეში – 28 სექტემბერს – გააუქმეს. შეზღუდვა აღდგა 2005 წლის 23 დეკემბრის კანონით და ისევ გაუქმდა 2009 წლის 28 დეკემბრის კანონით.

[15] „ღია საზოგადოების ინსტიტუტის" სახელმძღვანელო „საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგი", 2005 წ.

არჩევნების თარიღის დანიშვნა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა[16]. 2006 წლის მსგავსად, 2010 წელს პრეზიდენტი, პრაქტიკულად, ამ ვადის ამოწურვას დაელოდა. მან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღი არჩევნებამდე 61 დღით ადრე დანიშნა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი საჯარო განცხადება არჩევნების 30 მაისს ჩატარების შესახებ ჯერ კიდევ 2009 წლის 20 ივლისს, პარლამენტის წინაშე ანგარიშის წარდგენისას გააკეთა[17].

პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის 12 მარტს მიღებული კანონით საქართველოს საარჩევნო კოდექსში ჩაიწერა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ამავე წლის 30 მაისს უნდა ჩატარდეს[18]. ეს არჩევნების თარიღის დადგენად ვერ ჩაითვლება, რადგან, როგორც ზევით აღინიშნა, კონსტიტუციის მიხედვით, არჩევნების თარიღს პრეზიდენტი ნიშნავს. შესაბამისად, პარლამენტის ეს გადაწყვეტილება კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

არჩევნების თარიღის დროულად გამოცხადება ქართული და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია იყო. ეს საკითხი, პირველ რიგში, იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ არჩევნების თარიღი ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებას უკავშირდება: წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები სწორედ ამ დღიდან შედის ძალაში. არჩევნების ზუსტი თარიღის ცოდნა პოლიტიკური პარტიების თანაბარ პირობებში ჩაყენებასაც უწყობს ხელს: მათ მეტი დრო ეძლევათ იმისთვის, რომ წინასაარჩევნო კამპანია ზუსტად და დროულად დაგეგმონ. არჩევნების თარიღის წინასწარ განსაზღვრა სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაციებსაც ეხმარება იმაში, რომ მოსამზადებელ სამუშაოებს მეტი დრო დაუთმონ და მონიტორინგი უკეთესად დაგეგმონ.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის (I ღ) სახელმძღვანელოში[19] წინასაარჩევნო პერიოდის მნიშვნელობა შემდეგნაირად არის განმარტებული: „დრო, როგორც რესურსი: დრო ასევე მნიშვნელოვანი რესურსია წინასაარჩევნო კამპანიისთვის. არჩევნების ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს თანაბარი დროის მონაკვეთი წინასაარჩევნო კამპანიისთვის. კამპანიის მიმდინარეობა იმდენად ხანგრძლივი უნდა

[16] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 104^3.

[17] http://www.president.gov.ge/?l=G&m=0&sm=3&st=20&id=2988

[18] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 129^{13} მუხლის 1-ლი პუნქტი.

[19] arCevnebis damkvirvebelTa saxelmZRvanelo, me-5 gamocema, 2005 weli; http://www.osce.org/item/14004.html, gv.47.

იყოს, რომ ყველამ შეძლოს თავისი პოლიტიკის ეფექტიანად დაგეგმვა და ამომრჩევლისთვის მიწოდება. კანონმა ნათლად უნდა განსაზღვროს, რა ტიპის პოლიტიკური ღონისძიებების განხორციელებაა ნებადართული ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის ფარგლების გარეთ და რა მასშტაბებით"; ასევე, „წინასაარჩევნო პერიოდის დაწყების თარიღის ბუნდოვანება ... არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს არათანაბარ წინასაარჩევნო პერიოდს უქმნის".

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენების მონიტორინგი არჩევნების თარიღის ოფიციალურად დანიშვნამდე, მარტის შუა რიცხვებიდან დაიწყო. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის გადამუშავებამ ცხადყო, რომ მმართველი პარტია ადმინისტრაციულ რესურსებს, არჩევნების თარიღის ოფიციალურად დანიშვნამდე – 30 მარტამდე – ანუ არჩევნებამდე სულ რაღაც 2.5 თვით ადრე აქტიურად იყენებდა. მაგალითად, მმართველი პარტიის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლევან კონჯარია, რომელიც, როგორც პირველ ანგარიშში აღვნიშნეთ, მარტში ზუგდიდის სოფლებში უფასო დიაგნოსტიკის პროგრამას უწევდა ზედამხედველობას[20], 19 აპრილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. ის ზუგდიდის ოლქის პროპორციული სიის პირველი ნომერიც არის. კონჯარია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზუგდიდში ვიზიტისას[21] თავად წარადგინა. მარტშივე ყვარლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა გელაშვილმა მოსახლეობას საჩუქრად სურსათი და ჰიგიენური საშუალებები გადასცა. ამ აქციაში ყვარლის გამგებელი ლევან გამსახურდია და გამგეობის სხვა თანამშრომლები მონაწილეობდნენ. ადგილობრივ მცხოვრებთა განცხადებით, ისინი მათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერის სანაცვლოდ დამატებით საჩუქრებს დაჰპირდნენ.

ქალაქ თბილისის 6 რაიონის 30 უბნად დაყოფა

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით[22], დედაქალაქის ექვსი არსებული რაიონი ოცდაათ ტერიტორიულ ერთეულად – უბნად – დაიყო[23]. ამ ცვლილებამ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მწვავე კრიტიკა დაიმსახურა. მთავარ ბრალდებად წინასაარჩევნო მოტივი –

[20] 7.03.10, „კურიერი", ტელეკომპანია „რუსთავი 2".

[21] http://imedi.ge/?p=22826

[22] ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 29 ოქტომბრის №13-29 გადაწყვეტილება „ქ. თბილისის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უბნებად დაყოფის შესახებ".

[23] **ძველი თბილისის რაიონი:** დაყოფილია სამ უბნად; **ვაკე–საბურთალოს რაიონი:** დაყოფილია ექვს უბნად; **ისანი–სამგორის რაიონი:** დაყოფილია ცხრა უბნად; **დიდუბე–ჩუღურეთის რაიონი:** დაყოფილია სამ უბნად; **გლდანი–ნაძალადევის რაიონი:** დაყოფილია რვა უბნად; **დიდგორის რაიონი:** დაყოფილია ერთ უბნად.

მატერიალური და ადამიანური რესურსების საარჩევნო კამპანიაში ჩართვის მიზნით გაზრდა – დასახელდა. ბრალდების საპასუხოდ ქალაქის მერმა თბილისზე გაცილებით მცირე ზომის ქალაქის, ქუთაისის, მაგალითი მოიყვანა და აღნიშნა, რომ ის ათ მუნიციპალიტეტადაა დაყოფილი. მან ასევე თქვა, რომ თბილისში ტერიტორიული ერთეულების რაოდენობის ზრდა მის ბიუჯეტზე უმნიშვნელო გავლენას მოახდენდა (იგი მილიონ ლარს არ გადააჭარბებდა).[24] მმართველმა პარტიამ ახალი უბნების შექმნა მოსახლეობასთან უფრო ახლოს მისვლის აუცილებლობით ახსნა.

30 უბნის ადმინისტრირებისთვის თბილისის 2010 წლის ბიუჯეტს 150 ახალი საშტატო ერთეული დაემატა. სამწუხაროდ, ჩვენი არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, თბილისის მერია დეტალურ ბიუჯეტს არ გვაძლევს[25]. ბიუჯეტის საჯაროდ ხელმისაწვდომი ვერსიებიდან კი შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რეალურად რა დაუჯდა თბილისს ახალი ინიციატივის განხორციელება. ძნელია იმის განსაზღვრაც, თუ რამდენად საჭირო იყო დამატებითი უბნების შექმნა, რადგან თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებას სათანადო განმარტება (მაგალითად, სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენ ადამიანს უწევდნენ მომსახურებას მანამდე არსებული ტერიტორიული ერთეულები) არ ახლდა.

2006 წელს, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ თვითმმართველობის რეფორმა განახორციელა, პირველი დონის თვითმმართველობა (სოფლებისა და მცირე ქალაქების საკრებულოები და გამგეობები) გაუქმდა და თვითმმართველობები მხოლოდ მეორე დონეზე (რაიონებში) დარჩა. მაშინ მმართველმა პარტიამ ეს გამსხვილება რესურსების ოპტიმიზაციისა და უფრო ეფექტიანი თვითმმართველობის განხორციელების სურვილით ახსნა. შედეგად, დღეს საკრებულოები და გამგეობები რაიონულ ცენტრებშია განთავსებული, ხოლო სოფლებსა და მცირე ქალაქებში გამგებლებსა და მერებს თითო-თითო რწმუნებული ჰყავთ (რომელთაც, საკრებულოს გადაწყვეტილებით, შესაძლოა რამდენიმე თანამშრომელი ჰყავდეთ აპარატში). მართალია, თბილისის მოსახლეობა მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ნებისმიერი სხვა მუნიციპალიტეტისა (იგი მთელი ქვეყნის მოსახლეობის 30%-ზე მეტს შეადგენს), მაგრამ თავისი რაიონის გამგეობაში მისვლა დედაქალაქის მცხოვრებისთვის გაცილებით ადვილია, ვიდრე თბილისის გარეთ არსებული რაიონების მცხოვრებლებისთვის, რადგან საქართველოს რეგიონებში სატრანსპორტო ქსელი უფრო შეზღუდულია, მოსახლეობის შემოსავალი კი ხშირად უფრო მცირეა.

---

[24] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5024

[25] „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 82.1 მუხლის შესაბამისად, ბიუჯეტი უნდა იყოს გაწერილი კვარტლურად ან/და ყოველთვიურად.

საგადასახადო სამსახურების „გეგმური შემოწმებები“ და ინვენტარიზაცია წინასაარჩევნო პერიოდში

მიმდინარე წლის მარტიდან ინტენსიურად დაიწყო თბილისში არსებული სტამბების გეგმური შემოწმებები და ზოგ შემთხვევაში – ინვენტარიზაცია. ამას მათი სხვადასხვა ვადით დახურვა და ყადაღის დადება მოჰყვა. ყველა ის სტამბა, რომელიც გარკვეული დროით დაიხურა, „ეროვნული საბჭოს“ შეკვეთებზე მუშაობდა. ეს სტამბებია: „თბილისელები“ (დალუქეს 22 დღით 25 მარტიდან), „სეზანი“ (დალუქეს 10 დღით 10 მარტიდან), „სიტყვა“ (დალუქეს 10 დღით 2 მარტიდან) და „იუ-სი-ემ“ (UCM) (დალუქეს 35 დღით 4 მარტიდან). შემოწმების შედეგად საგადასახადო სამსახურს რაიმე სერიოზული დარღვევები არ აღმოუჩენია. ზოგიერთი სტამბის შემოწმება ახლაც გრძელდება, თუმცა მათი ფუნქციონირება აღდგენილია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, გეგმური საგადასახადო შემოწმების შესახებ გადასახადის გადამხდელს (ამ შემთხვევაში – სტამბას) 10 დღით ადრე უნდა ეცნობოს[26], რაც არც ერთ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში არ გაკეთებულა. ეს რომ გადაუდებელი საკონტროლო შემოწმებები ყოფილიყო, მაშინ უნდა არსებულიყო შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებები. რამდენიმე სტამბის მეპატრონის თქმით, მათთვის ასეთი გადაწყვეტილებები არ წარუდგენიათ.

ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, თუ რამდენად ხშირი იყო წარსულში გეგმური შემოწმებებისა და ინვენტარიზაციის მიზნით სტამბების დალუქვა. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ სხვა (დაულუქავი) სტამბების მეპატრონეებს და პოლიგრაფიის დიზაინერებს, რომლებსაც, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ სტამბებთან (ზემოთ ჩამოთვლილი სტამბების მეპატრონეებმა კომენტარებისგან თავი შეიკავეს). ყველა გამოკითხულმა გვითხრა, რომ სტამბები ასე მანამდე არასდროს დაუხურავთ. სტამბების მეპატრონეებმა მათი ან სხვა სტამბების დალუქვის ვერც ერთი ფაქტი ვერ გაიხსენეს. ასეთი ფაქტები ვერც სტამბების საქმიანობასთან პროფესიულად დაკავშირებულმა პირებმა გაიხსენეს.

რაც შეეხება ინვენტარიზაციას, საგადასახადო სამსახურს მისი წელიწადში ორჯერ ჩატარების უფლება აქვს. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების[27] თანახმად, ამ

[26] საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მ.113.5

[27] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანება „გადასახადების გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

დროს შესამოწმებელი ობიექტის დალუქვა შესაძლებელია, თუმცა ამით მას ზარალი არ უნდა მიადგეს და მის ჩვეულ საქმიანობას საფრთხე არ უნდა შეექმნას. ობიექტის ხელმძღვანელი თავისი თანამშრომლებისგან ან სხვა მოწვეულ პირთაგან ქმნის კომისიას, რომლის მუშაობასაც ზედამხედველობას საგადასახადო სამსახურის თანამშრომელი უწევს. ობიექტი მხოლოდ მანამდე რჩება დალუქული, სანამ საგადასახადო სამსახურს მოთხოვნილ ფინანსურ დოკუმენტაციას არ წარუდგენს. ამის შემდეგ ის იხსნება და, შემოწმების მიმდინარეობის მიუხედავად, საქმიანობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში სტამბების ხანგრძლივად დახურვის გამო, ერთის მხრივ, მათ მიადგათ მნიშვნელოვანი ზარალი და, მეორე მხრივ, ის ოპოზიციური პარტიები დაზარალდნენ, რომელთაც მათთვის შეკვეთები ჰქონდათ მიცემული. ამის გათვალისწინებით, უკეთესი იქნებოდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სტამბების ინვენტარიზაცია თუ შემოწმება არასაარჩევნო პერიოდში განხორციელებულიყო.

სტამბების საქმიანობასთან პროფესიულად დაკავშირებულ პირთა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა თქმით, დღეს სტამბების უმრავლესობა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების შეკვეთების მიღებაზე უარს ამბობს. ისინი სხვა დამკვეთებსაც კი წინასწარ ეკითხებიან, თუ რა შინაარსის მასალების დაბეჭდვას აპირებენ, თუმცა მანამდე ამით სტამბები არ ინტერესდებოდნენ.

<u>ფინანსური რესურსები</u>

ცენტრალური ან/და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო რესურსების გამოყენება მმართველი პარტიის ან მისი კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიისთვის. მაგალითად, წინასაარჩევნო პერიოდში წინასწარ დაუგეგმავი სოციალური დახმარებების, მათ შორის, პენსიების გაზრდა და საჯარო მოხელეთა ხელფასების მატება, ასევე სხვა სახის სოციალური პროგრამების ინიციირება (სტუდენტური გრანტების გაზრდა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაიაფება, უფასო სამედიცინო პროექტები, სუბსიდიები გაზზე, ელექტროენერგიაზე, მედიკამენტებზე და ა. შ.), აგრეთვე სახელმწიფო ან მუნიციპალური რესურსების გამოყენებით მმართველი პარტიის ან/და არჩევნებში მონაწილე მისი ცალკეული წარმომადგენლების წარმოჩენა ხელისუფლების საქმიანობის გაზრდილი რეკლამირების გზით[28].

[28] მაგალითები აღებულია „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ სახელმძღვანელოდან „საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგი“, 2005 წ.

როგორც პირველ ანგარიშში აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 13 იანვრის №40 განკარგულებით რეგიონული განვითარების ფონდიდან[29] ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის 66 მლნ ლარი გამოყო. 2010 წლის მუნიციპალური ბიუჯეტების დამტკიცებისას ადგილობრივ თვითმმართველობებს ეს თანხა, ბუნებრივია, არ გაუთვალისწინებიათ. შესაბამისად, მთავრობის განკარგულებას მუნიციპალურ ბიუჯეტებში ცვლილებების შეტანა მოჰყვა – გამოყოფილი თანხა ბიუჯეტების საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებში აისახა.

ადგილობრივმა თვითმმართველობებმა საბიუჯეტო ცვლილებები საკუთარი ინიციატივითაც განახორციელეს. მხოლოდ მარტის განმავლობაში ცვლილება 69 მუნიციპალიტეტიდან 41-ის ბიუჯეტში იქნა შეტანილი, მათ შორის, ზოგიერთში – რამდენჯერმე (სულ – 44 ცვლილება).

ქვემოთ წარმოგიდგენთ 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვის ტენდენციებს და ზოგიერთი საბიუჯეტო ცვლილების ანალიზს:

(1) საშტატო რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ზრდა

წინა ანგარიშში ყურადღება დაეთმო ქ. თბილისის თვითმმართველობისა და პრეზიდენტის რწმუნებულთა აპარატების გაზრდილ საშტატო რიცხოვნობას და შრომის ანაზღაურებას. როგორც სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ანალიზმა ცხადყო, ამ თვალსაზრისით თბილისის თვითმმართველობა და პრეზიდენტის რწმუნებულთა აპარატები გამონაკლისი არ ყოფილა. 2007–2009 წლებთან შედარებით, 2010 წელს დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა და უმეტეს შემთხვევებში (10 თვითმმართველობაში) – შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად არის გაზრდილი 13 თვითმმართველობაში[30]. მაგალითად, გორის ბიუჯეტში 2010 წელს შეტანილ იქნა ორი ცვლილება, რომლითაც გაიზარდა როგორც საშტატო რიცხოვნობა, ისე შრომის ანაზღაურება[31]. 2010 წელს მუნიციპალიტეტების დიდ ნაწილში გამგეობათა ტერიტორიული ორგანოების (სოფლის რწმუნებულების) ადმინისტრაციების ხარჯებიც გაიზარდა[32]. საშტატო რიცხოვნობის ზრდასთან

[29] სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომლიდანაც ცენტრალური ხელისუფლება სხვადასხვა რეგიონულ პროექტებს აფინანსებს (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 29).

[30] ამ ეტაპისთვის არსებული 65 მუნიციპალური ბიუჯეტიდან სულ 43 შევისწავლეთ.

[31] გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №3 და 25 თებერვლის №7 დადგენილებები მოგვაწოდა გორის მუნიციპალიტეტმა.

[32] 43 თვითმმართველობების შესწავლილი ბიუჯეტებიდან 13-ში გაზრდილია როგორც საშტატო ერთეულების რაოდენობა, ისე სახელფასო ფონდი. 3-ში გაზრდილია შტატები და გადანაწილებულია არსებული ფონდის ხელფასები. 9-ში არ არის გაზრდილი დასაქმებულთა რაოდენობა, მაგრამ გაზრდილია სახელფასო ფონდი.

დაკავშირებული ცვლილებები 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაც განხორციელდა, 2009 (არასაარჩევნო) წელს კი ამ კუთხით ზრდა, პრაქტიკულად (მცირე გამონაკლისების გარდა), არ ყოფილა.

ცხრილი 1. საშტატო რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ზრდა ზოგიერთ ადგილობრივ თვითმმართველობაში 2010 წელს[33]

თვითმმართველი ერთეული	**გაზრდილი საშტატო რიცხოვნობა (კაცი)**	**ზრდა (%-ში) 2009 წელთან შედარებით**	**გაზრდილი შრომის ანაზღაურება (ათასი ლარი)**	**ზრდა (%-ში) 2009 წელთან შედარებით**	**სხვა, დამატებითი ინფორმაცია**
რუსთავი	19	6,1	773,9	23,3	ჩამოყალიბდა ტერიტორიული ორგანოები* და შეიქმნა „რუსთავის კორპუსი“
თიანეთი	17	16,8	36,5	6,2	გაიზარდა ცენტრალური აპარატის რიცხოვნობა
თელავი	7	7,2	81,2	7,3	საშტატო რიცხოვნობა მოიცავს მხოლოდ გამგეობის ცენტრალურ აპარატს
საგარეჯო	21	12,6	42,7	4,7	ძირითადად გაიზარდა ტერიტორიული სამსახურების შტატები სოფლებში
ზუგდიდი	54	34,0	470,1	30,5	გაიზარდა როგორც საკრებულოს, ისე გამგეობის და ტერიტორიული სამსახურების შტატები
გურჯაანი	3	1,8	59,8	8,2	გაიზარდა ხელშეკრულებით გამგეობაში მომუშავეთა რიცხოვნობა
გორი**	99	51,3	343,2	28,0	გაიზარდა როგორც საკრებულოს, ისე გამგეობის და ტერიტორიული სამსახურების შტატები

[33] შესაბამისი თვითმმართველობების 2010 წლის ბიუჯეტები და თვითმმართველობებიდან მიღებული ინფორმაცია.

დუშეთი	5	4,5	37,3	6,0	გაიზარდა გამგეობაში დასაქმებულთა რაოდენობა
ამბროლაური	20	9,0	100,4	14,3	ძირითადად გაიზარდა ტერიტორიული სამსახურების შტატები სოფლებში
ლაგოდეხი	86	81,9	99,5	11,9	ძირითადად გაიზარდა ტერიტორიული სამსახურების შტატები სოფლებში
მცხეთა	9	5,5	12,6	1,2	გაიზარდა გამგეობაში დასაქმებულთა რაოდენობა
ასპინძა	12	13,3	48,3	8,8	გაიზარდა როგორც გამგეობის, ისე ტერიტორიული სამსახურების შტატები
ონი	18	17,5	78,6	13,1	გაიზარდა როგორც გამგეობის, ისე ტერიტორიული სამსახურების შტატები

* ტერიტორიული ორგანოები (იგივე „ტერიტორიული სამსახურები“) მოიცავს გამგეობის/მერიის რწმუნებულების სამსახურების საშტატო რიცხოვნობას.
** გაიზარდა 2010 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ორივე ცვლილების შედეგად.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ თვითმმართველობაში საოფისე ხარჯები წინასაარჩევნო პერიოდში გაცილებით მეტია, ვიდრე არჩევნების შემდეგ. მაგალითად, ლაგოდეხში გამგეობის აპარატის საოფისე ხარჯები პირველ და მეორე კვარტალებში სულ 35 ათასი ლარია, ხოლო მესამე და მეოთხე კვარტალებში – 15 ათასი ლარი. ლაგოდეხის ტერიტორიული ორგანოების საოფისე ხარჯები მეორე კვარტალში 20 ათასი ლარია, ხოლო დანარჩენებში ერთად – 20 ათასი ლარი.

ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსების ზრდა და, ზოგადად, მისი გაძლიერება მნიშვნელოვანია და დადებით ტენდენციად შეიძლება შეფასდეს, მაგრამ იგი მხოლოდ არჩევნების წინა თვეებში სახელფასო ფონდის ზრდით და ერთჯერადი ან სპონტანურად დაგეგმილი ღონისძიებებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. თვითმმართველობების გაძლიერების მთავარი წინაპირობა მათი ცენტრალური ხელისუფლებისგან რეალური დამოუკიდებლობა (მათ შორის, საბიუჯეტო) უნდა იყოს.

(2) სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსების ინტენსივობის ზრდა წინასაარჩევნო პერიოდში

ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების ანალიზიდან ასევე ირკვევა, რომ ზოგიერთი ღონისძიება მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში ფინანსდება, არჩევნების შემდეგ კი დაფინანსება მნიშვნელოვნად მცირდება ან საერთოდ ქრება[34]. მაგალითად[35]:

<u>**სიღნაღი:**</u>

- ინფრასტრუქტურის ხარჯები 2010 წლის მარტ–ივნისში წლიური ხარჯების 70%-ს შეადგენს. ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილი 2 242 500 ლარიდან ამ თვეებზე 1 578 700 ლარი მოდის[36];
- ბინათმშენებლობის ხარჯები, 62,5 ათასი ლარის ოდენობით, მხოლოდ მარტზეა გამოყოფილი;
- გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯები, 98,1 ათასი ლარის ოდენობით, მეტწილად მარტის თვეზეა გამოყოფილი. შემდეგ თვეებში ეს ხარჯები თვეში 10 ათას ლარამდე მცირდება;
- სპორტული ღონისძიებების დიდი ნაწილი მარტ–აპრილში ფინანსდება (შესაბამისად, 31,2 ათასი და 23,1 ათასი ლარით). შემდეგ თვეებში ეს ხარჯები თვეში 5 ათას ლარამდე მცირდება;
- სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების 58%, ანუ მთლიანი 300,5 ათასი ლარიდან 173,2 ათასი ლარი,[37] თებერვალ–მაისზე მოდის. შემდეგ თვეებში დაფინანსება მკვეთრად მცირდება;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დიდი ნაწილი ასევე თებერვალ–მარტში ფინანსდება (შესაბამისად, 168,3 ათასი და 116,4 ათასი ლარით). შემდეგ თვეებზე ამ თანხების მხოლოდ მესამედი რჩება.

---

[34] ე. წ. სეზონური ხარჯები, რომელთა გაწევა სწორედ გაზაფხულის პერიოდშია მიზანშეწონილი (მაგალითად, გამწვანება, ბაღებისა და სკვერების მოწესრიგება, გაზგაყვანილობისა და წყლის სისტემების რეაბილიტაცია), ანალიზში შეგნებულად არ არის შეტანილი.

[35] მხოლოდ სამი მუნიციპალიტეტიდან მივიღეთ ისეთი დეტალური ინფორმაცია, რომელმაც ანალიზის თვეების მიხედვით გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა.

[36] შესაბამისად, 406,1, 382,5, 443,0 და 339,2 ათასი ლარი ამ თვეების მიხედვით.

[37] შესაბამისად, 89,9, 27,9, 23,5 და 24,1 ლარი ამ თვეების მიხედვით.

<u>ლაგოდეხი:</u>

- ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯები პირველ და მეორე კვარტალებში ერთად 197 ათასი ლარია, მესამე და მეოთხე კვარტალებში კი – 92,5 ათასი ლარი;
- გარე განათების ხარჯებისთვის პირველ კვარტალში 130,0 ათასი ლარია გათვალისწინებული, სხვა კვარტალებში კი – სულ 90,0 ათასი ლარი;
- ახალგაზრდული ღონისძიებების სუბსიდირების ხარჯები პირველ და მეორე კვარტალებში სულ 115,0 ათასი ლარია, მესამე და მეოთხე კვარტალებში კი – 90,0 ათასი ლარი;
- სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსებისათვის პირველ და მეორე კვარტალებში მთლიანად 222,3 ათასი ლარია გამოყოფილი, მესამე და მეოთხე კვარტალებში კი – 155,6 ათასი ლარი;
- კულტურის ღონისძიებები, 17,0 ათასი ლარის ოდენობით, მხოლოდ პირველ და მეორე კვარტალებში ფინანსდება. მესამე და მეოთხე კვარტალებში მათი დაფინანსება საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

<u>ხობი:</u>

- სადღესასწაულო დღეებში მრავალშვილიანთა, დედ-მამით ობოლ ბავშვთა, ომში დაღუპულთა ოჯახების და სამამულო ომის ვეტერანთა დახმარება განსაზღვრულია მხოლოდ პირველ და მეორე კვარტალებში (შესაბამისად, 10 ათასი ლარი და 4,8 ათასი ლარით). მესამე და მეოთხე კვარტალებში ასეთი კატეგორიის ადამიანთა დახმარება საერთოდ არ არის გათვალისწინებული;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროფილაქტიკური გასინჯვების ჩატარების ხარჯები, 6 ათასი ლარის ოდენობით, მხოლოდ მეორე კვარტალშია გათვალისწინებული. სხვა კვარტალებში ასეთი ხარჯები საერთოდ არ არის განსაზღვრული.

(3) სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის და ინფრასტრუქტურის ხარჯების ზრდა

2007–2009 წლებთან შედარებით, 2010 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის და ინფრასტრუქტურული პროგრამების დაფინანსება (გარდა იშვიათი გამონაკლისებისა ოზურგეთის, ვანის, ჭიათურის ამბროლაურის ბიუჯეტებში).

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დიდი ნაწილი მოკლევადიანი ან ერთჯერადი ხასიათისაა (მედიკამენტების ერთჯერადი გაცემა, ერთჯერადი ფულადი დახმარება და სხვ.). მაგალითად, სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 2010 წელს ადგილობრივ თვითმმართველობებში შემდეგი საქმიანობა ხორციელდება:

- **ქ. რუსთავი:** სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების პროგრამა 100%-იანი დაფინანსებით. მთლიანი ბიუჯეტი – 333,1 ათასი ლარი[38];
- **გურჯაანის მუნიციპალიტეტი:** 13 სხვადასხვა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა[39], მათ შორის, მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი დახმარება (10 ათასი ლარი) და სოციალურად დაუცველი პირების ერთჯერადი დახმარება (190 ათასი ლარი);
- **ახმეტის მუნიციპალიტეტი[40]:** ავადმყოფთა მკურნალობის ხარჯების დაფარვა (40 ათასი ლარი); სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება (60 ათასი ლარი); სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება (10 ათასი ლარი); მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურება (4 ათასი ლარი)[41];
- **გორის მუნიციპალიტეტი:** სოციალური პროექტების თანადაფინანსება (20 ათასი ლარი)[42];
- **სიღნაღის მუნიციპალიტეტი:** ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ მეომართა ერთჯერადი დახმარება (3,6 ათასი ლარი)[43];
- **თელავის მუნიციპალიტეტი:** ავტობუსით მგზავრობა 2010 წლის 1 მარტიდან უფასო გახდა, რისთვისაც 50 000 ლარია გამოყოფილი. წინა წელს ასეთი ან მსგავსი ინიციატივა საერთოდ არ განხორციელებულა.

---

[38] ასეთი პროგრამა წინა წელს არ ყოფილა

[39] ამდენივე პროგრამა განხორციელდა 2008 (საარჩევნო) წელს. 2007 და 2009 წლებში მხოლოდ 9-9 პროგრამა ხორციელდებოდა.

[40] 2007–2009 წლებში ასეთი ხარჯი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

[41] ტრანსპორტის ხარჯების დაფინანსება საერთოდ არ განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას. ბიუჯეტი დეტალურად გაწერილი არ არის. შესაბამისად, დამატებითი ანალიზის გაკეთება შეუძლებელია.

[42] 2007–2009 წლებში ასეთი პროექტები საერთოდ არ ფინანსდებოდა. ბიუჯეტი დეტალურად გაწერილი არ არის. შესაბამისად, დამატებითი ანალიზის გაკეთება შეუძლებელია.

[43] 2007-2009 წლებში ასეთი დახმარება საერთოდ არ ფინანსდებოდა.

2010 წელს განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში გაჩნდა არაერთი ისეთი ინფრასტრუქტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა ტიპის ხარჯი, რომელიც 2007–2009 წლების და 2010 წლის თავდაპირველ ბიუჯეტებში გათვალისწინებული არ ყოფილა, მაგალითად:

- **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი:** 2010 წლის 26 თებერვლის ცვლილებებით მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების შეკეთება 297 ათასი ლარით დაფინანსდა. ამ პროგრამისთვის 2009 წელს 9,9 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. იმავე ცვლილებებით სპორტული მოედნების მოწყობისათვის 157,7 ათასი ლარი გამოიყო.
- **გორის მუნიციპალიტეტი:** 2010 წლის 25 თებერვლის ცვლილებებით ქალაქის გამწვანება და მწვანე ნარგავების რეაბილიტაცია 49 ათასი ლარით დაფინანსდა. მუნიციპალური ბიუჯეტით ასევე ფინანსდება საცხოვრებელ კორპუსებთან მისასვლელი გზებისა და ტროტუარების შეკეთება 50 ათასი ლარით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება 40 ათასი ლარით, სოფლის მეურნეობის განვითარების თანადაფინანსების პროგრამა 40 ათასი ლარით, სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება 30 ათასი ლარით და კულტურის ღონისძიებების პროექტების თანადაფინანსება 10 ათასი ლარით.

(4) ადგილობრივი მედიასაშუალებების დაფინანსება (სუბსიდირება)

2010 წელს თვითმმართველობებმა ადგილობრივ მედიასაშუალებებს (ტელევიზიებს და ბეჭდურ მედიას) სუბსიდიები გაუზარდეს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სუბსიდიების მოცულობა 2008–2010 წლებში:

ცხრილი 2. ადგილობრივი მედიასაშუალებების სუბსიდირება[44]

მუნიციპალიტეტი	2008 წ.	2009 წ.	2010 წლის თავდაპირველი ბიუჯეტი (ათასი ლარი)	2010 წელს განხორციელებული ცვლილებები (ათასი ლარი)
აბაშა	14,0	14,8	15,4	17,6
ახმეტა	4,8	22,7	30,0	30,0
მარტვილი	7,0	19,0	21,0	21,0
თელავი	20,0	19,0	20,0	20,0
გურჯაანი	24,0*	34,0*	68,9	70,0

[44] შესაბამისი თვითმმართველობების 2010 წლის ბიუჯეტები და თვითმმართველობებიდან მიღებული ინფორმაცია.

სიღნაღი	3,7	8,6	16,0	16,0
ყვარელი	9,9	12,0	17,0	17,0
ონი	5,6	5,8	11,8	11,8

* რეგიონული კოორდინატორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ინსტიტუციური რესურსები[45]

წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისთვის სახელისუფლებო სტრუქტურების საოფისე ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, შენობა-ნაგებობების, დაქვემდებარებული საჯარო მოხელეების და საჯარო ფინანსებით დაფინანსებული ორგანიზაციების[46] სხვა მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების გამოყენება.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია მოწოდებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეგიონული კოორდინატორების მიერ, ასევე მოპოვებულია სხვა რეგიონული კონტაქტების (ჟურნალისტებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, საჯარო მოხელეებთან, პარტიათა აქტივისტებთან) მეშვეობით.

პერსონალური მონაცემების შეგროვება

პირადობის მოწმობების ან პერსონალური მონაცემების სხვადასხვა მოტივით შეგროვების შემთხვევები წინასაარჩევნო პერიოდში 2006 წლიდან ინტენსიურად ხორციელდება. გაურკვეველია, რა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ასეთი ღონისძიებები, თუმცა მოსახლეობაზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს და ამომრჩევლებში გარკვეულ ეჭვებს აღძრავს.

<u>3–4 მაისს თელავის</u> მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის გამგებელმა ამირან სულეიმანოვმა თანასოფლელებს პირადობის მოწმობები ჩამოართვა. ადგილობრივი მაცხოვრებლების გულნაზ არიხ ყიზის და დილარა მამედოვას განცხადებით, სულეიმანოვმა პირადობის მოწმობების ჩამორთმევა სოფელში დახმარების შესაძლო დარიგებით ახსნა. თელავის რაიონში „ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენლის, ველი აშიროვის განცხადებით, პირადობის მოწმობები ყარაჯალის მოსახლეობის ნახევარზე მეტს აქვს ჩამორთმეული. ასევე

[45] ინსტიტუციური რესურსების გამოყენების ფაქტები გაცილებით მეტია, მაგრამ ამ ანგარიშში განხილულია მხოლოდ ის შემთხვევები, რომლებიც რამდენიმე წყაროსთან არის გადამოწმებული და დადასტურებული.

[46] საჯარო სამართლის იურიდიული პირები, აგრეთვე კერძო სამართლის ის იურიდიული პირები, რომლებშიც სახელმწიფოს წილი 50%-ს ან მეტს შეადგენს.

აშიროვის ინფორმაციით, სოფლის რწმუნებულის წარმომადგენლები მოსახლეობაში დადიან და მოუწოდებენ მას, ხმა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მისცეს.

ამირან სულეიმანოვის განცხადებით, „თელაველი ქალი“ სოფელში ჰუმანიტარული ტანსაცმლის დარიგებას აპირებს. სწორედ ამ მიზნით ჩამოერთვა პირადობის მოწმობები 50–60 ადამიანს. *სულეიმანოვმა პირადობის მოწმობების ჩამორთმევის ფაქტი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელთან სატელეფონო საუბრისას დაადასტურა.*

მარტის შუა რიცხვებში მეორეული ტანსაცმლის დარიგების ფაქტები ოზურგეთის რაიონის სოფელ ჭანიეთში, დაბა ნარუჯში და დაბა ლაითურშიც იყო, თუმცა ამ შემთხვევებში პირადობის მოწმობების მონაცემების შეგროვებით შემოიფარგლებოდნენ.

<u>**აპრილში ოზურგეთში პატიმართა ოჯახების წევრებზე ზეწოლა დაიწყო**</u>. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატიმრების ოჯახების წევრებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ 100-დან 500-მდე მხარდამჭერის ხელმოწერების, პირადობის დამადასტურებელი ნომრების და სხვა პერსონალური მონაცემების შეგროვება მოსთხოვეს და სანაცვლოდ პატიმრების გათავისუფლებას დაჰპირდნენ. ოზურგეთში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების აქტივისტებმა და ჟურნალისტებმა რვა ასეთი ოჯახი დაასახელეს .

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ესაუბრა რამდენიმე ადამიანს, მათ შორის ერთ-ერთი პატიმრის ოჯახის წევრს და ერთ-ერთი სხვა პატიმრის ოჯახის ახლობელს. მათთან გასაუბრებისას დასახელდა ხელისუფლების ორი წარმომადგენელი: **გოჩა შილაკაძეს, ოზურგეთის გამგებლის აპარატის უფროსი, რომელიც, მათი თქმით,** სოფლებში მცხოვრებ პატიმრების ოჯახებს „კურირებს“) და **შუქრი გაბრიჩიძე, ოზურგეთის ტორიტორიული ორგანოს რწმუნებული, რომელიც** ქალაქ ოზურგეთში მცხოვრებ პატიმრების ოჯახებზეა პასუხისმგებელი.

<u>**მარტის დასაწყისში შინაგან საქმეთა სამინისტროს**</u> **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებამ** სხვადასხვა საჯარო უწყებებისა და კერძო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაუგზავნა წერილობითი მოთხოვნა მათი თანამშრომლების პირადი ნომრებისა და სხვა პერსონალური მონაცემების (მისამართების, ტელეფონის ნომრების, თანამდებობების) შეგროვების თაობაზე. მოთხოვნაში მიზეზი არ განუმარტავთ, მხოლოდ ის ეწერა, რომ ეს „შემხვედრი საჭიროებებისთვის“ იყო აუცილებელი. *№1 დანართში შეგიძლიათ იხილოთ გაზეთის რედაქციისთვის გაგზავნილი მოთხოვნის ასლი.*

მატერიალური რესურსების გამოყენება/პარტიული და სახელმწიფო რესურსების აღრევა

4 მაისს, გურჯაანის მოსახლეობა ერთჯერადი სოціალური დახმარების მიღებას გამგეობის შენობაში ელოდებოდა. გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი – გამგებლის პირველი მოადგილე გოგა პეტრუზაშვილი[47] – მოქალაქეთა მიღებას ვერ აუდიოდა[48]. ამიტომ მათი ნაწილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის ოფისში გაგზავნეს. ოფისში მისულებს შვებულებაში მყოფი გამგეობის თანამშრომლები ემსახურებოდნენ, კერძოდ, უსმენდნენ, დახმარებას ჰპირდებოდნენ და გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის სახელზე განცხადებას აწერინებდნენ. როგორც რამდენიმე მათგანმა ანონიმურად განაცხადა, მმართველი პარტიის ოფისში ყოფნისას აქტივისტები სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერისკენ მოუწოდებდნენ და სანაცვლოდ ჰპირდებოდნენ, რომ არჩევნების შემდეგ გამგეობა მათ ფულად დახმარებას კიდევ გაუწევდა.

საქართველო
შინაგან საქმეთა სამინისტრო
აჭარის ა.რ. მთავარი სამმართველოს
ბათუმის საქალაქო სამმართველოს
პოლიციის მე-2 განყოფილება

GEORGIA
THE MINISTY OF INTERNAL AFFAIRS MAIN
GOVERNING OF ADJARIAN A.R
THE GOVERNING OF BATUMI CITY
POLICE 2 STATION

ბათუმი ლერმონტოვის ქ. №3
ტელ: 7-02-71;
№26/10/5- 7 - 478

№3 str. lermontov batumi

06 მარტი 2010 წელი

შპს გაზეთ „ ბათუმელები "-ს
მთავარ რედაქტორს;
ქ-ნ, ეთერი თურაძეს

შემხვედრი საკითხებისათვის გთხოვთ მოგვცეთ თქვენდამი რწმენებულ დაწესებულებაში მიმდინარე პერსონალის სრული სია, დამოგრაფიული მონაცემები (გ.ს.მ.ნ,მისამართები,ტელეფონები,პირადი ნომრები), თანამდებობების მიხედვით. გაწეული დახმარებისათვის წინასწარ გთხოვთ მადლობას.

ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს
პოლიციის მე-2 განყოფილების,
უბნის ინსპექტორ გამომძიებელი;
/ თ. თეთრუაშვილი /

27 აპრილის ინფორმაციით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი გია ჩალათაშვილი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი გია გოზალაშვილი და **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი ლევან ბაღაშვილი** თანამდებობებიდან 15 აპრილს გადადგნენ, ხოლო **გურჯაანის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი გიორგი ჩივიაშვილი**[49] – 26 აპრილს. პირველი სამი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობს, მეოთხე კი – შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში, ოთხივე – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კვოტით.

---

[47] ყოფილი გამგებელი გიორგი ჩივიაშვილი 26 აპრილს გადადგა თანამდებობიდან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის გამო. გამგებლის მეორე მოადგილე – შოტა უტიაშვილი – შვებულებაშია.

[48] შვებულებაში არიან ასევე გამგეობის აპარატის უფროსი ვასილ უტიაშვილი და გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახურის სპეციალისტი ეკა ნაქევხრიშვილი.

[49] გიორგი ჩივიაშვილი შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად არის წარდგენილი.

მიუხედავად ამისა, 27 აპრილს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი იმყოფებოდა სოფელ მანავში, სადაც გადაუღებელი წვიმების შედეგად მეწყერი ჩამოწვა და სახლები დააზიანა. იგი ამ დროს **სამსახურებრივი მანქანით გადაადგილდებოდა** და **იქ მყოფ გამგეობის თანამშრომლებს დავალებებსა და მითითებებს აძლევდა**. 3 მაისის ინფორმაციით, დანარჩენი გადამდგარი გამგებლები ასევე განაგრძობდნენ გამგეობების კუთვნილი კორპორატიული ტელეფონებით სარგებლობას.

<u>24 აპრილს ოზურგეთში</u> საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მიხეილ მაჭავარიანმა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსმა რამაზ ნიკოლაიშვილმა სპორტის სასახლის წინ ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიის ხუთეული წარადგინეს. შეხვედრის მიზანი კანდიდატების წარდგენა და წინასაარჩევნო აგიტაცია იყო.

შეხვედრას **კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები** (მათ შორის, **ქვეგანყოფილების უფროსი შალვა ბოლქვაძე** და **მისი მოადგილე ივანე საჯაია**), **სამხარეო პოლიციისა** და **ოზურგეთის პოლიციის თანამშრომლები** (მათ შორის, **სამხარეო პოლიციის უფროსი შოთა ჭანუყვაძე** და **ოზურგეთის რაიონის პოლიციის უფროსი გია ურიდია**) ესწრებოდნენ. სამართალდამცავი და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებს პარტიულ საქმიანობაში მონაწილეობა საერთოდ ეკრძალებათ[50]. *№2 დანართში იხილეთ შეხვედრის ფოტოები. მე-2 ფოტოზე ძალოვანი უწყების წარმომადგენლები – შალვა ბოლქვაძე, ივანე საჯაია და გია ურიდია არიან წარმოდგენილი.*

დანართი №2

ამ შეხვედრის გამო ოზურგეთის ცენტრალური ქუჩა (კოსტავას ქუჩა) სამ საათზე მეტი ხნის განმავლობაში პოლიციის მანქანებით იყო გადაკეტილი. 24 აპრილს ღონისძიების ჩატარებისა

[50] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

და ქუჩის გადაკეტვის თხოვნით **„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 23 აპრილს მიმართა, რითაც დაარღვია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 74-ე მუხლის მე-2 პუნქტი**, რომლის თანახმადაც, გაფრთხილება ღონისძიებამდე ორი დღით ადრე უნდა მოხდეს.

<u>22 აპრილს მცხეთაში</u> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ზურაბ მელიქიშვილი მოსახლეობას შეხვდა სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე და პარტიის კანდიდატები წარადგინა. შეხვედრას, რომელიც სამუშაო საათებში გაიმართა, **გამგეობისა** და **საკრებულოს თითქმის ყველა თანამშრომელი** (მათ შორის, თინა საგინაშვილი, ნათია გელაშვილი, ლელა ერონდიდი, თაისი დავლიანიძე, ეთერ კიკნაძე, გია პაპაშვილი, ნატო იორდანიშვილი, ხათუნა ბადაგაძე, ნათია მამულაშვილი), **ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები**, ასევე **№1** და **№2 საშუალო სკოლების დირექტორები** და **პედაგოგებიც** (სასკოლო საათებში) ესწრებოდნენ. მათ შეკრება დღის 12 საათიდან დაიწყეს. რამდენიმე მათგანის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ისინი „სასტიკად იყვნენ გაფრთხილებულები“, რომ შეხვედრაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად (73-ე მუხლის მე-5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი და 76[1] მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) და ცესკოს, არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების მიერ ხელმოწერილი მემორანდუმის ერთ-ერთი განმარტების თანახმად, სამუშაო საათებში აგიტაციის გაწევა კანონით არის აკრძალული.

მცხეთაშივე **გამგეობის სპორტის სამსახურის თანამშრომელი უჩა გულბათაშვილი** და ასევე **გამგეობის თანამშრომელი მაია გიუტაშვილი**[51] სამუშაო დროის დიდ ნაწილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბში ატარებენ, თუმცა ისინი შვებულებაში არ არიან.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების საარჩევნო მასალებში თბილისი მერიის ლოგოს გამოყენება

მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების სააგიტაციო მასალებში გამოყენებულია თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული, ე. წ. თბილისის რებრენდინგის ფარგლებში შექმნილი ლოგო „მე მიყვარს თბილისი“, რომელიც თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული პროექტების პრეზენტაციისას გამოიყენებოდა. ეს პროექტებია: ქალაქის

[51] ზუსტი თანამდებობების დადგენა ჩვენმა კოორდინატორმა ვერ მოახერხა, თუმცა ისინი ნამდვილად გამგეობის თანამშრომლები არიან.

პარკირების გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ნიშანი, „ერთად დავგეგმოთ თბილისის ბიუჯეტი“, „დარგე შენი ხე და გაამწვანე თბილისი“, სტუდენტური აქცია „კინომანია +5“ და ა. შ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიისას იყენებენ ფლაიერებს, რომლებზედაც იგივე ლოგოა გამოსახული. თბილისის მერიის განცხადებით, ეს ლოგო არ არის მერიის საკუთრება და მასზე საავტორო უფლება არ არსებობს. შესაბამისად, მისი გამოყენება არ არის კანონის დარღვევა, მაგრამ, როგორც დასაწყისში აღინიშნა, 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტის თანახმად, უნდა არსებობდეს „ნათელი განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. კერძოდ, არ უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფოს აღრევა“ (მუხლი 5.4). ეს ლოგო კი პირდაპირ თბილისის მერიასთან და მის პროექტებთან ასოცირდება. *№3 დანართში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ზაალ სამადაშვილის ფლაიერია წარმოდგენილი.*

დანართი №3

შეფარული პოლიტიკური რეკლამა და საბიუჯეტო სახსრებით დაბეჭდილი მასალის აგიტაციისთვის გამოყენება

თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ინიციატივით მიმდინარე წლის 19 აპრილს დაიწყო და 1 ივლისამდე გაგრძელდება აქცია „კინომანია +5“. აქციის ფარგლებში სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებზე გაიცემა ბარათი, რომლის წარდგენის შემთხვევაში კინოთეატრებში „ამირანსა“ და „რუსთაველში“ ბილეთის ფასს 5 ლარი[52] აკლდება.

[52] მმართველი პარტიის არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერია „5“.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია სახელმწიფო/ადგილობრივი **ბიუჯეტის სახსრებით** ისეთი **ბეჭდვითი მასალის** დამზადება, რომელშიც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი ან მისი არჩევნებში მონაწილეობის **რიგითი ნომერი**...“. მერია ამ აქციის განხორციელებისთვის, კერძოდ, მისი რეკლამირებისთვის, საკუთარ ვებგვერდს და სხვადასხვა ბეჭდვით საშუალებებს იყენებს. *იხილეთ დანართი №4.*

დანართი №4

ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ბოლო ორი ფაქტი „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ ცესკოში გაასაჩივრა. აღნიშნული საკითხები 13 მაისს განიხილება.

ხისტი რესურსები

პოლიტიკური ოპონენტებისა და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ ძალადობრივი მექანიზმების გამოყენება, მაგალითად, ოპონენტებისა და მათი აქტივისტების დაშინება, დარბევა, უკანონოდ დაკავება, დაპატიმრება და ა. შ.

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტად რამდენიმე პოლიტიკური პარტია და გაერთიანება აქტიურიობს, მათ შორის არიან: „ეროვნული საბჭო“ (განსაკუთრებით – მასში შემავალი მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“)[53], ბლოკი „ალიანსი საქართველოსთვის“[54] და „ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“[55]. ამ ეტაპზე საჯარო მოხელეების მხრიდან ყველაზე ხშირია

[53] „ეროვნული საბჭოს“ შემადგენლობაში შედიან ასევე „სახალხო პარტია“ და „კონსერვატიული პარტია“.

[54] „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)

[55] „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“

ზეწოლა „ეროვნული საბჭოს“ წევრებსა და აქტივისტებზე. ასევე ხდება ზეწოლა ბლოკის „ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენლებზე. მონიტორინგის პროცესში გვხვდება ამომრჩევლებზე ზეწოლის შემთხვევებიც.

პოლიტიკური პარტიის წევრებზე და მის აქტივისტებზე ზეწოლა

საარჩევნო საკითხებში „ეროვნული საბჭოს“ კოორდინატორის, ლადო ბოჟაძის, მიერ **5 მაისს მოწოდებული ინფორმაციით**, **ყვარლის რაიონის გამგებლის, ლევან გამსახურდიას,** და **პოლიციის უფროსის, თემურ გურაშვილის, მხრიდან ზეწოლის შედეგად** კანდიდატურები მოხსნეს ახალსოფლის საკრებულოს წევრობის კანდიდატმა მზია ხუტუაშვილმა და მთისძირის საკრებულოს წევრობის კანდიდატმა ანეტა მღებრიშვილმა. ხუტუაშვილმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი პარტიული სიის წარდგენის შემდეგ განაცხადა, მღებრიშვილმა კი – 5 მაისს.

„ეროვნულ საბჭოს“ ყვარელში 11-კაციანი პარტიული სია ჰქონდა წარდგენილი. პარტიული სიიდან ორი კანდიდატურის მოხსნა საკმარისი იყო სიის არჩევნებიდან მოხსნისათვის[56]. შესაბამისად, „ეროვნული საბჭო“ ყვარელში პარტიული სიით აღარ არის წარმოდგენილი.

3 მაისს, მესტიის გამგეობას დაახლოებით ღამის 10 საათიდან სტუმრობდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი ზაზა გოროზია, სამხარეო პოლიციის უფროსი თენგიზ გუნავა, პოლიციის უფროსის მოადგილე ჯონი ბელქანია, კოდორის პოლიციის მაღალჩინოსანი ანზორ მარგიანი, მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი კანდიტ (კახა) კვიციანი, მესტიის პოლიციის უფროსი გიორგი შედანია და მისი თანამშრომლები. მათ ახლდათ შეიარაღებულ ადამიანთა, დაახლოებით, 50-კაციანი ჯგუფი პიკაპის ტიპის 20-მდე ავტომანქანით. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, გოჩა ჭელიძესთან, ერთად მესტიის „სტუმრები“ ღამის 3 საათამდე თავად მოჰყავდათ გამგეობაში პარტია „თავისფლების“ მაჟორიტარი დეპუტატობის და პარტიული სიის კანდიდატები (მათ შორის ლერი ნაკანი, ვახტანგ ნაკანი, მირზა დადვანი, ივანე გულბანი, ნუგზარ არღვლიანი, ბაჩუკი საღლიანი და ლაშა პირველი). ოთხ მათგანს იმავე ღამეს დააწერინეს განცხადება კანდიდატურის მოხსნის შესახებ. ვახტანგ ნაკანისგან, ბაჩუკი საღლიანისგან და ლაშა პირველისგან კი ხელმოწერების მიღება ვერ მოახერხეს. ვახტანგ ნაკანი გამგეობაში მისულმა ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებმა გამოიყვანეს შენობიდან. ბაჩუკი საღლიანმა და ლაშა პირველმა კი თავიდანვე უარი განაცხადეს ამგვარი განცხადების დაწერაზე.

[56] saqarTvelos organuli kanonis `saqarTvelos saarCevno kodeqsi~ 118-e muxlis me-3 punqtis Tanaxmad, 9-kaciani partiuli siiT arCevnebSi monawileoba akrZalulia.

აღნიშნული განცხადებების მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირება ვერ მოხერხდა, რადგან კომისიის მდივანი ნათია გიგანი ცესკოს მითითებით[57] მეორე დღეს სამსახურში არ გამოცხადდა. სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მასზე სატელეფონო ზეწოლა განახორციელა გოჩა ჭელიძემ, რომელიც „გამწარებით“ ემუქრებოდა.

იმ ინციდენტამდე ერთი დღით ადრე, 2 მაისს მესტიაში „საკუთარი განცხადების საფუძელზე“ პარტიული სიიდან კანდიდატურა მოხსნა პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ წევრმა – ბოგდან ნიგურიანმა. იგი გამგეობის თანამშრომლებმა შავი „პრადოთი“ (ნომრით 700) თავად მიიყვანეს საოლქო საარჩევნო კომისიაში, სადაც მან განცხადება თავისი ხელით დაწერა.

<u>7 აპრილს ლანჩხუთში</u> ბლოკის „ალიანსი საქართველოსთვის“ ლანჩხუთის წარმომადგენლობის ერთ-ერთ წევრზე, მაჟორიტარობის კანდიდატზე, ავთანდილ სურმანიძეზე, ძალოვანებმა ზეწოლა განახორციელეს. ლანჩხუთში ვიზიტით მყოფი სასჯელათღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე კულტურის სახლში საზოგადოების წარმომადგენლებს ხვდებოდა. კერძოდ შეხვედრაზე იმყოფებოდნენ პედაგოგები და ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები. სურმანიძე ამ შეხვედრას ესწრებოდა, როგორც ნიგვზიანის თემის რწმუნებულის თანაშემწე. ის საკმაოდ აქტიურობდა და თავის პოლიტიკური შეხედულებებსაც აფიქსირებდა. შეხვედრის შემდეგ **კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ლანჩხუთის წარმომადგენლობიდან ბუხუტი ჩხაიძემ** და **მისთვის უცნობმა პირმა** ის ჩხაიძის კაბინეტში დაიბარეს, სადაც წინასაარჩევნო კამპანიის შეწყვეტა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პრობლემების შექმნით დაემუქრნენ. ამის შემდეგ ბუხუტი ჩხაიძე რამდენჯერმე დაუკავშირდა ავთანდილ სურმანიძეს და ინციდენტის უხმაუროდ მოგვარება სცადა. *უწყებათაშორისი ჯგუფის[58] მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ამჟამად ბუხუტი ჩხაიძე თანამდებობას არის ჩამოშორებული.*

---

[57] ცესკო-ს იმავე ღამეს შეატყობინეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა ინციდენტის შესახებ.

[58] 2010 წლის 30 მაისს არჩევნების წინ საქართველოს მთავრობამ განაახლა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი _ IATF (ასეთივე ჯგუფი იყო შექმნილი 2008 წლის არჩენების წინა პერიოდშიც). უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის წევრები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მაღალჩინოსნები არინ.

http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=184&info_id=30453

<u>6 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში</u> <u>პარტიის</u> „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ აქტივისტს, ქართული ენის პედაგოგს, ნინო ქადაგიშვილს, **საბათლოს რწმუნებული დავით გუნდაძე** დაუკავშირდა და უთხრა, რომ ოპოზიციასთან კავშირის შემთხვევაში სკოლის დატოვება მოუწევდა. *უწყებათაშორისი ჯგუფის ინფორმაციით, ქართული ენის პედაგოგი კვლავ თანამდებობაზეა და მას პრობლემები არ შეექმნება.*

<u>აპრილის დასაწყისში ვიქტორ ჯაფარიძეს, რომელიც მესტიაში</u> პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ კვოტით მონაწილეობს არჩევნებში (იგი პარტიული სიის პირველი ნომერი და, იმავდროულად, ერთ-ერთი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია), გამგებლის დავალებით მობილურ ტელეფონზე **მესტიის რაიონის პოლიციის უფროსმა გია შედანიამ** დაურეკა და დაემუქრა, რომ, თუ არჩევნებში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა, მესტიაში ჩასვლისთანავე დაიჭერდა. ვიქტორ ჯაფარიძე მესტიაში დღემდე არ ჩასულა. მასზე რამდენჯერმე განმეორდა მუქარა. არ არის გამორიცხული, რომ ვიქტორ ჯაფარიძემ საკუთარი კანდიდატურა მოხსნას არჩევნებიდან.

<u>11 მარტს პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ახმეტის</u> ოფისის ხელმძღვანელს, შოთა ქავთარაშვილს, **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაფარ ხანგოშვილი** და **სოფელ დუისის რწმუნებული მერაბ ქავთარაშვილი დაემუქრნენ**. ისინი ქავთარაშვილთან სახლში მივიდნენ და პოლიტიკურ საქმიანობაზე უარის თქმა და პარტიის დატოვება მოსთხოვეს. მათ ქავთარაშვილი გააფრთხილეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ოჯახის წევრებს „სხვადასხვა ხერხით გაამწარებდნენ“. მუქარა დაახლოებით 30 წუთს გრძელდებოდა. მათი წასვლის შემდეგ შოთა ქავთარაშვილი ცუდად გახდა და სამედიცინო დახმარება დასჭირდა. ჯაფარ ხანგოშვილმა განმარტა, რომ მან ქავთარაშვილს, როგორც თავის მეგობარს, მხოლოდ მეგობრული რჩევა მისცა და საერთოდ არ დამუქრებია.

ამომრჩევლებზე ზეწოლა

<u>2 მაისს თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში</u> მცხოვრებ ქალბატონს მობილურ ტელეფონზე დაურეკა მისმა მეზობელმა – ამხანაგობის თავმჯდომარემ, რომელიც კორპუსთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით არის დაკავებული. ამ კორპუსთან მისასვლელი გზა მოსაასფალტებელია. ამხანაგობის თავმჯდომარემ მეზობელს უთხრა, რომ მერიაში იყო და იქ უთხრეს, რომ აღნიშნულ გზაზე ასფალტს მხოლოდ იმ შემთხვევაში დააგებდნენ, თუ კორპუსის მცხოვრებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებს

(მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, ვახტანგ ნაცვლიშვილს, და მერობის კანდიდატს, გიგი უგულავას) დაუჭერდნენ მხარს.

<u>აპრილის მეორე ნახევრიდან ახმეტაში, სოფელ ალვანში</u> საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებზე ზეწოლის რამდენიმე ფაქტი მოხდა. კერძოდ, ბლოკის „ალიანსი საქართველოსთვის“ რაიონული ორგანიზაცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სოფელ **ზემო ალვანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, ბესო ყიზილაშვილს,** საარჩევნო ხმის უფლების მქონე მე-12 კლასელებზე ზეწოლაში ადანაშაულებს. ბესო ყიზილაშვილი ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის სპეციალისტია. „მართალია ის ამ დროისთვის შვებულებაში იმყოფება, თუმცა თავის თანამდებობრივ მდგომარეობას იყენებს და ბავშვებზე ზეწოლას ახდენს, მათ ემუქრება, რომ თუ არჩევნებში ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“ არ მისცემენ, ჯარში გაიწვევს და უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას ვეღარ შეძლებენ“, – განაცხადა ბლოკის „ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა ზაზა ლაგაზიძემ.

ყიზილაშვილის მხრიდან მე-12 კლასელებზე ზეწოლის ფაქტი ზემო ალვანის საჯარო სკოლის მე-12 კლასის ერთმა მოსწავლემ ანონიმურად დაადასტურა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ საუბარში. მისი თქმით, ყიზილაშვილმა რამდენიმე მოსწავლე ერთად გაფრთხილა.

თავად ყიზილაშვილმა საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსწავლეებზე ზეწოლის განხორციელება უარყო. „ჩემთან ერთად გადაამოწმეთ ეგ ამბავი და არც ერთი მოსწავლე მაგას არ იტყვის. ჩემ გარეშე რას გეუბნებიან, არ მაინტერესებს“, – აღნიშნა მან

<u>მსგავსი ინფორმაცია გავრცელდა ლანჩხუთშიც.</u> პარტია „დაიცავი საქართველოს“ ლანჩხუთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, ეკა ალექსაიას, განცხადებით, **ლანჩხუთის სამხედრო გაწვევის და აღრიცხვის სამსახურის თანამშრომელმა დავით პატარავამ** კომისარიატში დაიბარა სოფელ ქვიანში მცხოვრები, 18 წელზე უფროსი მამაკაცები და გააფრთხილა, ხმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ მიეცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მათ ჯარში გაწვევით დაემუქრა. *პატარავას ამ საქმიანობაში შესაძლო მონაწილეობა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელთან არაფორმალურ საუბარში რამდენიმე ადამიანმა დაადასტურა.*

წინასაარჩევნო ღონისძიებების ჩატარებისთვის ხელის შეშლა

<u>9 აპრილს პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“</u> წევრებს პარტიული ღონისძიებისთვის **სპორტის სასახლის გამოყენებაზე შენობის ადმინისტრაციამ უარი უთხრა.**

პარტიას განზრახული ჰქონდა, რომ სწორედ სპორტის სასახლეში გამოეცხადებინა პრაიმერის შედეგები.

მარტის შუა რიცხვებში პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ წარმომადგენელი ლადო ბოჟაძე და სპორტის სასახლის დირექტორი ნიკა წულაძე სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ 9 აპრილს პარტიას სპორტის სასახლის დარბაზით სარგებლობის საშუალება მიეცემოდა. ამისთვის მას 21,240 ლარი უნდა გადაეხადა.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ პარტიამ საჯაროდ განაცხადა, რომ 9 აპრილს სპორტის სასახლეში პრაიმერის შედეგების პრეზენტაცია ჩატარდებოდა. ამის შემდეგ, დაახლოებით ორ დღეში ლადო ბოჟაძეს სპორტის სასახლის თანამშრომლებმა აცნობეს, რომ დარბაზს ვეღარ გამოუყოფდნენ. ოფიციალურ მიზეზად მათ ის დაასახელეს, რომ 10 აპრილს იქ კალათბურთის მატჩი უნდა გამართულიყო, ხოლო 10-მდე ორი კვირით ადრე სარემონტო სამუშაოების ჩატარება იგეგმებოდა.

ორკვირიანი რემონტი სპორტის სასახლეში ჯერ არ დაწყებულა. თუმცა მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ამ შენობაში **2009 წლის ზაფხულში, საქართველოს ნაკრების თამაშებამდე ჩატარდა, რისთვისაც რამდენიმე მილიონი ლარი დაიხარჯა**.

<u>24 მარტს, ოზურგეთში „ეროვნული საბჭოს“</u> ლიდერების ჩასვლის დღეს, სარეისო მიკროავტობუსები და ავტობუსები (მათი მფლობელები კერძო კომპანიები არიან) სოფლებიდან და სოფლების მიმართულებით არ გადაადგილებულან. ამის ოფიციალურ მიზეზად ის დაასახელეს, რომ ამ ავტომანქანების ტექდათვალიერება უნდა ჩატარებულიყო. მასიური ხასიათის ტექდათვალიერება ყველა მიკროავტობუსს შეეხო. საპატრულო პოლიცია მათ ტექნიკურ შემოწმების განსახორციელებლად აჩერებდა. „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ოზურგეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ლელა ნაცვალაძემ ამ აკრძალვის ინიციატორებად **გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, ვალერიან ჩიტაიშვილი,** და **შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო პოლიციის უფროსი შოთა ჭანუყვაძე დაასახელა**. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მასიურად დაბრკოლების ასეთი შემთხვევა ოზურგეთში მანამდე არასდროს ყოფილა.

ოფისის მეპატრონეზე ზეწოლა

<u>9 მარტს ახმეტაში</u> პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ წარმომადგენელს ოფისის მეპატრონემ მისი დაცლა მოსთხოვა. ამ დროს იჯარის ვადა ჯერ გასული არ იყო, თანხა კი პარტიას დროულად ჰქონდა გადახდილი. ოფისის მეპატრონემ ლუხუმ მეშველიანმა თქვა, რომ მას „პარტიის თავიდან მოშორება“, კერძოდ, მასთან ქირავნობის ხელშეკრულების

გაუქმება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა (მათ ვინაობას ის არ აკონკრეტებს) მოსთხოვეს.

ოპოზიციური პარტიის აქტივისტების დაკავება

<u>17 აპრილს სტამბების[59] დახურვასთან დაკავშირებით</u> „ეროვნული საბჭოს“[60] აქტივისტებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს. სამართალდამცავებმა აქციაში მონაწილე 8 აქტივისტი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო დააკავეს და პოლიციის სამმართველოდან დაუყოვნებლივ სასამართლოში გადაიყვანეს. „ეროვნული საბჭოს“ ადვოკატებმა სასამართლოს შენობაში შესვლა ვერ მოახერხეს. სანამ პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ იურისტი თემურ წურწუმია შენობაში შევიდოდა, 7 დაკავებულიდან თითოეულს უკვე 400-ლარიანი ჯარიმა ჰქონდა დაკისრებული. მოგვიანებით ასეთი ჯარიმა მე-8 დაკავებულსაც დაეკისრა.

დასკვნა

მიმდინარე წლის 8 მაისს უწყებათაშორისი ჯგუფი ოთხ სადამკვირვებლო ორგანიზაციას, „ახალ თაობა – ახალ ინიციატივას“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ შეხვდა, რათა მათ მიერ გამოვლენილ დარღვევებს გაცნობოდა. ჯგუფის წევრებმა დარღვევებთან დაკავშირებული დეტალები ჩაინიშნეს და მათზე დაუყოვნებლივ რეაგირების პირობა დადეს.

მნიშვნელოვანია, რომ კანონდამრღვევთა წინააღმდეგ გატარებული ზომების შესახებ საზოგადოება სრულად იყოს ინფორმირებული. ეს, ერთი მხრივ, ამომრჩეველთა ნდობის გაზრდისთვის არის აუცილებელი და მეორე მხრივ, მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის. თუ დღეს კანონდამრღვევები სათანადოდ დაისჯებიან და ამის შესახებ ინფორმაცია ფართოდ გავრცელდება, მომავალში სხვები დარღვევების ჩადენას უფრო მოერიდებიან.

[59] stambebi `Tbiliselebi~, `sezani~, `sityva~ da `iu-si-em~ (UCM).

[60] ამ სტამბებში პარტია „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ და მთლიანად, „ეროვნული საბჭოს“ სააგიტაციო მასალები იბეჭდებოდა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ზემოთ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ განაგრძობს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს და მის შედეგებს არჩევნებამდე კიდევ ორჯერ გააცნობს საზოგადოებას. არჩევნების შემდეგ ორგანიზაცია გამოაქვეყნებს საბოლოო ანგარიშს, რომელშიც ასახული იქნება მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ყველა დარღვევა და ხარვეზი, და წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები მომავალში მათი პრევენციისათვის.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge